

ჩეზარე პავეზეს ერთი ლექსის გაგებისათვის

(„Passerò per Piazza di Spagna“)

ნიკოლოზ შამუგია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საკვანძო სიტყვები: ჩეზარე პავეზე, კონსტანს ღოუღინგი, ჰიპადაგე

ჩეზარე პავეზეს „Passerò per Piazza di Spagna“ შედის კრებულში, რომლის ყველა ლექსი კონსტანს დოულინგს ეძღვნება, ვისაც მწერლის სიყვარულზე სიყვარულით არ უპასუხია. ამ ფაქტის გათვალისწინებით გასაგებია კრებულში შემავალი ლექსების ნაღვლიანი, სევდიანი განწყობა. თუმცა ამას ვერ ვიტყვით მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ლექსზე: იგი საოცრად ოპტიმისტურია და გადმოგვცემს პოეტის ნატვრას, რა მოხდება გაზაფხულის ერთ მზიან დღეს. შედარებით მცირე მნიშვნელობის საკითხია, რას აღნიშნავს ლექსში სამჯერ ნახსენები სიტყვა „pietra“ და როგორ უნდა ითარგმნოს იგი. გაცილებით მნიშვნელოვანია ლექსის დასასრულისკენ შემდეგი სამი სტრიქონის სწორად გაგება:

„Il tumulto delle strade
sarà il tumulto del cuore
nella luce smarrita.“

ამ სტრიქონების სიტყვასიტყვით თარგმნა („ქუჩების ჩოჩქოლი იქნება გულის ჩოჩქოლი დაკარგულ შუქში“) ეწინააღმდეგება ლექსის ოპტიმისტურ განწყობას და შინაარსობრივად ვერ ესადაგება ვერც ლექსის მთლიანობას, ვერც ბოლო სტრიქონს, რომლის მიხედვითაც კონსტანსი პოეტს დახვდება ნათელი. გაუგებარია, რა არის „დაკარგული შუქი“. შუქი, სინათლე ხომ თავად კონსტანსია პოეტისათვის და ის ხომ მას ნათელი დახ-

ვდება. მაშ, როგორღა უნდა გავიგოთ „დაკარგული შუქი“? მიმანჩინია, რომ ამ პასაჟში გამოყენებულია ვერსიფიკაციული ფიგურა ჰიპალაგე (ინგლ. hypallage. ჩემთვის უცნობია ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინის ხმარება, ამიტომ მისი სახელი უშუალოდ ძველი ბერძნულიდან გადმოგვაქვს). ჰიპალაგეს ხშირად მიმართავდნენ ძველი ბერძენი პოეტები, მათგან გადაიღეს იგი ძველმა რომაელმა მწერლებმა, საიდანაც იტალიურმა მწერლობამაც იმემკვიდრა მისი გამოყენება:

„...Sorgon così tue dive / membra dall'egro talamo“ (უგო ფოსკოლო, „განკურნებულ მეგობარს“; სტრ. 7-8) – სიტყვა „egro“ („ავადმყოფობით გატანჯული“) გრამატიკულად დაკავშირებულია სიტყვასთან „talamo“ („საწოლი“), შინაარსობრივად კი ის უნდა დავუკავშიროთ სიტყვას „membra“.

„...di foglie un cader fragile“ (ჯოვანი პასკოლი, „ნოემბერი“; სტრ. 11) – სინამდვილეში იგულისხმება „un cadere di fragili foglie“.

საინტერესოა, გამოუყენებია თუ არა ოდესმე ჩეზარე პავეზეს ეს ვერსიფიკაციული ფიგურა. იკვთება, რომ მას ეს ვერსიფიკაციული ფიგურა გამოუყენებია ადრეც და თვით ამავე პოეტურ კრებულში შემავალ კიდევ ერთ ლექსშიც. ამიტომ მიმანჩინია, რომ აღნიშნული პასაჟი შინაარსობრივად უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: სიტყვა „smarrita“, მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკულად დაკავშირებულია სიტყვასთან „luce“, შინაარსობრივად უნდა დავუკავშიროთ სიტყვას „tumulto“ ფრაზაში „il tumulto del cuore“ – ქუჩის ჩოჩქოლი იქნება გულის ჩოჩქოლი და ეს უკანასკნელი დაიკარგება, გაქრება კონსტანსის სილამაზის ბრწყინვაში, მასთან შეხვედრის სინათლეში. ამგვარი გაგება ლექსს საერთო ოპტიმისტურ განწყობას უნარჩუნებს.

ლიტერატურა:

- Crosland, M. (1971). Cesare Pavese: Selected Poems. Harmondsworth: Penguin Books.
- Davison, S. (1992). Cesare Pavese: Passerò per Piazza di Spagna / I Will Pass through Piazza di Spagna. "Chicago Review", 38 (3), 74-75.
- Muzzioli, F. (2004). Le strategie del testo: introduzione all'analisi retorica della letteratura. Roma: Meltemi editore.
- Williamson, A. (1997). Cesare Pavese: Death Will Come and Look at Me with Your Eyes. "American Poetry Review", 26 (5), 35-37.

TOWARDS AN INTERPRETATION OF CESARE PAVESE'S PASSERÒ PER PIAZZA DI SPAGNA

Nikoloz Shamugia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities

Keywords: *Cesare Pavese, Constance Dowling, hypallage*

Cesare Pavese's poem *Passerò per Piazza di Spagna* is included in his posthumously published collection of love lyrics *Verrà la morte e avrà i tuoi occhi*, which is dedicated to Constance Dowling, who did not respond to the poet's love. Considering this fact, it is understandable that the poems of the collection resound with melancholic mood. However, this does not hold true for the poem in question: it is curiously optimistic and expresses the poet's wish about what will happen one sunny spring morning. A question of relatively minor importance is what the word *pietra* implies in the poem and how it should be translated. The question which bulks largest is the correct interpretation of the following three verses towards the end of the lyric:

Il tumulto delle strade
sarà il tumulto del cuore
nella luce smarrita.

A word for word translation of these verses belies the overall optimistic tone of the poem as well as its final line, which says that Constance will be standing bright on the threshold of her flat. It is unclear what the "lost light" is. For the poet, Constance is light herself and she will be standing there bright to receive him. How then should "lost light" be understood? Pavese seems to use hypallage here. Hypallage was common in ancient Greek and Latin literature. It was inherited by Italian poetry, too: *Sorgon così tue dive / membra dall'egro talamo* (Ugo Foscolo, *All'amica risanata*, vv. 7-8) – the word

egro, although grammatically linked to *talamo*, semantically modifies *membra*.

di foglie un cader fragile (Giovanni Pascoli, *Novembre*, v. 11) – the line should be understood as “un cadere di fragili foglie”.

Pavese seems to have employed this figure of speech not only in his earlier poems but also in another poem from the same collection. The passage under consideration should be understood in the following way: the word *smarrita*, though grammatically linked to *luce*, should be semantically linked to *tumulto* in the phrase *il tumulto del cuore* – the tumult of the streets will be the tumult of the heart, and the latter will disappear in the brilliance of Constance’s beauty. Such an interpretation is in line with the general optimistic mood of the poem.

References:

- Crosland, M. (1971). *Cesare Pavese: Selected Poems*. Harmondsworth: Penguin Books.
- Davison, S. (1992). *Cesare Pavese: Passerò per Piazza di Spagna / I Will Pass through Piazza di Spagna*. “Chicago Review”. 38 (3). 74-75.
- Muzzioli, F. (2004). *Le strategie del testo: introduzione all’analisi retorica della letteratura*. Roma: Meltemi editore.
- Williamson, A. (1997). *Cesare Pavese: Death Will Come and Look at Me with Your Eyes*. “American Poetry Review”. 26 (5). 35-37.